თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N8

ქ. თელავი 19.08.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მ.შ. - **უჩა ჭოტიაშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თამარ ხატიაშვილი; გივი ლაფაური; მამუკა ბურდიაშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიორგი ქართლელიშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - **მაია დათუნაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტი - **მარიამ ლილუაშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - უ. ჭოტიაშვილი
   თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - უ. ჭოტიაშვილი
   თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის, კონტროლის და მართვის სისტემის შექმნის შესახებ ხელშეკრულების განხილვა.

   მომხსენებელი - უ. ჭოტიაშვილი
   თანამომხსენებელი - მ. ლილუაშვილი

<u>მოისმინეს</u>: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> უ. ჭოტიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით მთავარ საფინანსო დოკუმენტში ცვლილებების ძირითადი მოტივია: თელავის მუნიციპალიტეტისთვის 2022 წლის გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილებით და ფაქტიური შემოსულობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების და სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად თანხების მობილიზება.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 76855,13 ათასი ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს- **ნ. ვაყელიშვილს.**

მან განმარტა, რომ მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში:

გაიზარდა დღგ-ს გადასახადიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 1444,0 ათ. ლარით, საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 2345,0, პროცენტებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან მისაღები შემოსავლების გეგმა, ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა. 1000,0 ათ. ლარით მცირდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (მიწა) მისაღები შემოსავლების გეგმა.

შესაბამისად მოხდება ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში. კერძოდ:

გაიზარდება მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის პროცენტის მუხლი, გზების კაპიტალურად შეკეთების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი, საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 35,0 ათ. ლარით. სასმელი წყლის რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 15,0 ათ. ლარით, ბინათმშენებლობის ღონისძიებების სხვა ხარჯების მუხლი 50,0 ათ. ლარით. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეჩურის გაზიფიცირების სამუშაოებისთვის განისაზღვროს 450,0 ათ. ლარი.

ასევე საჭირო სამუშაოების ჩასატარებლად გაიზარდოს, სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაციის, კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობის, სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის და სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის არაფინანსური აქტივების და სუბსიდიების მუხლები ჯამში 1168,0 ათ. ლარით.

წარმოდგენილ ცვლილებას კომისიის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს რუსუდან იმერლიშვილმა და ნინო ომანიძემ. ცვლილებას მხარი არ დაუჭირა იმედა კევლიშვილმა.

<u>გადაწყვიტეს:</u> ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

<u>მოისმინეს</u>: 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> უ. ჭოტიაშვილმა ზოგადი მიმოხილვა გააკეთა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ. ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 6 თვის განმავლობაში ბიუჯეტში დაგეგმილზე მეტი შემოვიდა, რაც განპირობებულია ქონების გადასახადის სიჭარბით. გეგმა - 3413,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 6386,97 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 187,14%-ით. არსებული მიმოხილვის მიხედვით წლის პირველ ნახევარში შემოსავლებმა 19065,93 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 122,44%-ია. ხოლო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 6 თვის განმავლობაში შეადგინა 15543,73 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 126,08% -ით.

ასევე დადებითი ტენდენციებია 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმართულებით. კერძოდ 2022 წლის პირველ ნახევარში ბიუჯეტის შემოსულობებმა 19763,85 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის 120,29%-ია. გადაჭარბებით შესრულდა დამატებითი ღირებულების გადასახადი - 19156,76 ათ. ლარი (102,70%), ქონების გადასახადი - 6386,97 ათ. ლარი (187,14%), საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი - 6304,15 ათ. ლარი (193,97%), ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი - 3446,0 ათ. ლარი (114,86%).

გადასახდელების გეგმა 6 თვის განმავლობაში შესრულდა 85,31% -ით. დაგეგმილი იყო 20325,56 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 17339,28 ათ. ლარი.

2022 წლის 01 იანვრისთვის - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი - 3872,0 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - აღებული და ასანაზღაურებელი ვალდებულებები 3276,8 ათ. ლარი, ჭარბი შემოსავლებიდან - 2303,29 ათ. ლარი, თავისუფალი ნაშთი გადასახდელებიდან - 3660,36 ათ. ლარი. ხოლო 2022 წლის 01 ივლისისთვის 2355,66 ათ. ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი, ხოლო 13180,53 ათ, ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან. (მ.შ. საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან მიღებული ჭარბი შემოსავლიდან) ნაშთის ცვლილებამ პერიოდის განმავლობაში შეადგინა 2424,58 ათ. ლარი.

2022 წლის 6 თვის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის დაფინანსების გათვალისწინებით დაიხარჯა 286,98 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 100%-ით.

თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 6 თვის განმავლობაში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 41,815 ათასი ლარი.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (თან ერთვის) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს:</u> 3. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის, კონტროლის და მართვის სისტემის შექმნის შესახებ ხელშეკრულების განხილვა.

აზრის გამოთქვეს: ხელშეკრულების პირობებზე და დეტალებზე. განმარტებები გააკეთა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მარიამ ლილუაშვილმა.

მან აღნიშნა რომ ხელშეკრულება ფორმდება 5 წლის ვადით და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობის საფასურის გადახდის, კონტროლის და მართვის სისტემის გამართვისთვის ყველა ხარჯს იღებს სს „თიბისი ბანკი". ამასთან ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახური" იღებს ვალდებულებას, მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით, ყოველგვარი საფასურის გარეშე გამოუყოს ბანკს სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსებისთვის შესაბამისი ადგილები, უზრუნველყოს აპარატები საჭირო კომუნალური ქსელის მიწოდებით და დაფაროს შესაბამისი ხარჯები. ასევე 2022 წლის 1 ოქტომბრიდან უზრუნველყოს ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახურის" თანამშრომლების თიბისი ბანკის სახელფასო პროექტში ჩართვა.

კომისიის წევრებმა ერთხმად მოიწონეს წარმოდგენილი ხელშეკრულება

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი ხელშეკრულება ცნობად იქნას მიღებული.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარის მ.შ. უ. ჭოტიაშვილი